

- **უოლტერ ფეინბერგი, იონას ფ. სოლტისი**

სკოლა და საზოგადოება

მეხუთე გამოცემა, გამომცემლობა Teachers college press, 2009 წელი.
თარგმნილია CCIIR-ის მიერ (თბილისი, 2012)
262 გვერდი.
ფასი - 20 ლარი.

წიგნში ნათლად და მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული მოქმედ და მომავალ მასწავლებლებთან დაკავშირებული საგანმანათლებლო საკითხები. სახელმძღვანელო წარმოადგენს არაჩვეულებრივ ინსტრუმენტს ყოველდღიურ სასკოლო ცხოვრებაში არსებული საკითხებისა და პრობლემების გასაანალიზებლად. მასში აგრეთვე განხილულია სწავლა-სწავლებასთან, სასწავლო გეგმასთან, ეთიკასთან, სკოლასა და საზოგადოებასთან ურთიერთობებთან დაკავშირებულ საკითხებზე სხვადასხვა ფილოსოფიური შეხედულება. განკუთვნილია სკოლების ადმინისტრაციის, მასწავლებლების, განათლების მკვლევრების, აგრეთვე - განათლების მეცნიერებებით დაინტერესებული პირებისთვის.



- **სტეფან ჯ. ბოლი**

დებატები განათლების შესახებ

მესამე გამოცემა. Policy press, 2013 წელი, თარგმნილია CCIIR-ის მიერ (თბილისი, 2018)
343 გვერდი
ფასი - 20 ლარი.

ეს წიგნი წარმოაჩენს უამრავ წინააღმდეგობრივ პოზიციას, რომლებიც კონკრეტულ დისკურსსა და სხვადასხვა დისკურსებს შორის არსებობს: უფრო რელევანტური განათლება, რომელიც ჩვენს ქვეყანას საშუალებას აძლევს ეკონომიკურად განვითარდეს და დაამარცხოს უთანასწორობა. წიგნი კარგად აჩვენებს, რომ „განათლება მნიშვნელოვანია“ რიტორიკა საშუალებას აძლევს ყველა ტიპის ინტერესთა ჯგუფს, დაამატოს საკუთარი, ხშირად მომგებიანი მოსაზრებები მილიონობით არსებულ მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა იმართებოდნენ სკოლები და როგორ უნდა ისწავლებოდეს საგნები. წიგნის მნიშვნელოვანი აქცენტია პოლიტიკისა და პოლიტიკოსების ურთიერთმიმართებები. სახელმძღვანელო განკუთვნილია სკოლების ადმინისტრაციის, მასწავლებლების, განათლების მკვლევრების, აგრეთვე - განათლების მეცნიერებებით დაინტესებული პირებისთვის.

- **მერი ლუის ჰოლი, ჯონ მ. არჰარი, ვენდი ს. კასტენი**

პრაქტიკის კვლევა პედაგოგებისთვის, მოგზაურობა ყვითელი აგურის შარაგზაზე



მესამე გამოცემა; გამომცემლობა Allyn & Bacon/Pearson, 2009 წელი;
თარგმნილია CCIIR-ის მიერ (თბილისი, 2016).
547 გვერდი.
ფასი - 25 ლარი.

წიგნი მიზნად ისახავს იმ შემეცნების განვითარებას, რომელიც პრაქტიკის კვლევას სწავლების ბუნებრივ ნაწილად მიიჩნევს. წიგნი განკუთვნილია პრაქტიკოსი მასწავლებლების, მასწავლებელთა განათლების პროგრამის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის, აგრეთვე, სასკოლო პრაქტიკის კვლევით დაინტერესებული სპეციალისტებისთვის. წიგნში მოცემულია სავარჯიშოებისა და რეკომენდაციების სრულფასოვანი კომპლექტი, რომელიც დაეხმარება მასწავლებლებს კვლევის გეგმის განსაზღვრის, კვლევის ორგანიზების, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, მონაცემების შეგროვების და შეფასების პროცესში.

- **ჯეფრი გლანცი**

სწავლება 101



მეორე გამოცემა; გამომცემლობა Corwin SAGE, 2009 წელი. თარგმნილია CCIIR-ის მიერ (თბილისი, 2016)
306 გვერდი.
ფასი - 25 ლარი.

სწავლება 101 განსაზღვრავს, აღწერს და განმარტავს წარმატებული მასწავლებლისა და საუკეთესო სწავლების შესახებ თეორიასა და პრაქტიკას. ეს წიგნი, პირველ რიგში, დამწყები მასწავლებლებისთვისაა განკუთვნილი; წიგნი გააცნობს მომავალ ან დამწყებ მასწავლებლებს სწავლებასთან დაკავშირებულ რჩევებს, რომლებიც წარმატების აუცილებელი პირობაა. წიგნი ასევე გააღრმავებს ცოდნას, რომელიც, შესაძლოა, უკვე გაქვთ. სწავლება 101 აგრეთვე დაგეხმარებათ, განავითაროთ და დაიცვათ თქვენი პროფესიული მსოფლმხედველობა. სახელმძღვანელო ეფუძნება სამ ძირითად პრინციპს: პირველი - მასწავლებლობა საპატიო პროფესიაა. იამაყეთ, რადგან თქვენ ხართ მასწავლებელი და თქვენი ზეგავლენა უსაზღვროა! ალბათ იმაზე მეტიც, ვიდრე თქვენ ფიქრობთ... მეორე პრინციპს სწავლების აქტიური მეთოდი წარმოადგენს. წარმატებული მასწავლებლები სცილდებიან გაკვეთილის ტრადიციულ გაგებას. ისინი მოსწავლეთა დაინტერესებას მათი სასწავლო პროცესში ჩართვის გზით ახერხებენ. წიგნში მკითხველის ჩართულობის მიზნით მრავალი ინტერაქტიული აქტივობაა მოცემული. და ბოლოს, მესამე პრინციპი - კრიტიკული აზროვნების გზით პიროვნების ინტელექტუალური თვალსაწიერის გაზრდა და მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლისადმი გახსნილობის ჩამოყალიბებაა.



- **სტეფანი ლ. მაკანდრეუსი**

წიგნიერების დიაგნოსტიკური შეფასებები და სწავლების სტრატეგიები: წიგნიერების სპეციალისტის რესურსი

გამომცემლობა INTERNATIONAL Reading Association, 2008 წელი.
თარგმნილია CCIIR-ის მიერ (თბილისი, 2016).
296 გვერდი.
ფასი - 25 ლარი.

სახელმძღვანელო დაწერილია წიგნიერების სპეციალისტებისათვის ან კითხვის ტრენერთათვის, რომლებიც მუშაობენ პედაგოგებსა და მოსწავლეებთან და ხელს უწყობენ მოსწავლეთა ენობრივი, კითხვისა და წერის უნარების გაუმჯობესებას. წიგნიერების ექსპერტობა ან კითხვის მიმართულების სპეციალისტობა, საზოგადოდ, მიიღწევა მაღალი საფეხურის განათლებითა და სერტიფიცირებით - რადგანაც ამ პოზიციაზე მყოფი პიროვნება ხშირ შემთხვევაში ხელს უწყობს არა მხოლოდ კითხვის, არამედ ენობრივი და წერის უნარების განვითარებასაც. მთელ წიგნში ეს პოზიცია მოხსენიებული იქნება წიგნიერების სპეციალისტად. წიგნი დაფუძნებულია ეფექტური წიგნიერების პრაქტიკის მიმდინარე კვლევებზე, წლების განმავლობაში ავტორის მიერ ამ პრაქტიკის გამოყენებაზე და მისი, როგორც საგნის მასწავლებლის, კითხვის სპეციალისტის, კითხვის აღდგენითი პედაგოგის, კონსულტანტისა და უნივერსიტეტის წიგნიერების პროფესორის, გამოცდილებაზე. ამ გამოცდილებებმა საშუალება მისცა ავტორს, ჩასწვდომოდა რთული გადაწყვეტილების მიღების პროცესის არსს, რომელიც გამოიყენება მოსწავლეთა ენობრივი, კითხვისა და წერის უნარების განვითარებაში.

- **თომას ჯ. გუნინგი**

წიგნიერების სწავლება ნებისმიერი შემსწავლელისთვის

მერვე გამოცემა, გამომცემლობა Pearson; 2014 წელი; თარგმნილია CCIIR-ის მიერ (თბილისი, 2016)
690 გვერდი.
ფასი - 25 ლარი

წიგნის მთავარი თემაა, თუ როგორ უნდა გავიაზროთ წიგნიერება; წიგნიერება, როგორც ტექსტის სახით ორგანიზებული მთლიანობა, მოიცავს ურთიერთდაკავშირებულ, ერთმანეთთან ინტეგრირებულ მრავალ კომპონენტს: ეს კომპონენტებია: ენა და ლექსიკა ფონოლოგიური ცნობიერება და ფონეტიკა სიტყვების შეცნობა და ადრეული ტექსტობრივი კონცეპტები ზეპირი მეტყველება და გამართული მეტყველება წაკითხულისა და მოსმენის გააზრება ადრეული წერითი ცნობიერება

და წერილობითი თხზულება ამ წიგნში თითოეული ზემოთ აღწერილი კომპონენტის შეფასება / განვითარება ცალ-ცალკე თავებადაა აღწერილი, თუმცა ეს კომპონენტები ერთმანეთთან დაკავშირებულია და ურთიერთდამოკიდებულია. წიგნი განკუთვნილია მასწავლებლებისთვის, მასწავლებელთა განათლების პროგრამის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის, აგრეთვე განათლების საკითხებით დაინტერესებული სპეციალისტებისთვის.



- **კეროლაინ ჩეპმენი, რიტა კინგი**

კითხვის სწავლების დიფერენცირებული სტრატეგიები
მეორე გამოცემა; გამომცემლობა Corwin, 2009 წელი;
თარგმნილია CCIIR-ის მიერ (თბილისი, 2016).
182 გვერდი.
ფასი - 20 ლარი.

წიგნი შექმნილი იმისთვის, რომ განათლების სფეროს სპეციალისტებს გაუწიოს დახმარება გაეცნონ თითოეული მკითხველის სწავლის განსაკუთრებულ საჭიროებებს სწავლების დიფერენცირებული სტრატეგიების მეშვეობით. წიგნს აქვს შემდეგი მიზნები:

- კითხვის აქტივობები, სტრატეგიები და რჩევები ლექსიკის, მეტყველებისა და გაგების უნარების სწავლებისთვის;
- კითხვის ეფექტური და გასართობი გარემოს შექმნისათვის საჭირო ტექნიკები და რჩევები;
- მკითხველის პრობლემების სწრაფი გამოვლენის შეფასებითი იდეები ამ პრობლემების გადაჭრის შემოთავაზებული გზებით;
- დამახსოვრების სტრატეგიები, რომლებიც გარდაქმნის მიწოდებულ ინფორმაციას გრძელვადიან მეხსიერებად;
- დაგეგმვის საშუალებები ნიმუშების, სიებისა და მითითებების ჩათვლით, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა დარგში კითხვისას.

ყველა სტრატეგია, აქტივობა და იდეა შექმნილია კითხვის საბაზისო უნარების სხვადასხვა საგნის სწავლების პროცესში გამოსაყენებლად. ამ საშუალებების ადაპტირება ეხმიანება ინდივიდუალური მკითხველის საჭიროებებს და წარმოადგენს ყოველი შემსწავლელის აკადემიურ და პირად მცდელობებს.

- **კოლინ ბეიკერი ბილინგვური განათლებისა და ბილინგვიზმის საფუძვლები**



მეოთხე გამოცემა, გამომცემლობა Multilingual matters LTD, 2006 წელი. თარგმნილია CCIIR-ის მიერ (თბილისი, 2010)
464 გვერდი
ფასი - 25 ლარი.

წიგნი წარმოადგენს ბილინგვური განათლებისა და ბილინგვიზმის შესავალს იგი მოიცავს მრავალფეროვან თემებს: კონკრეტულირი ენები, კონცეპტები, ზოგადად -ბილინგვური განათლების საკითხები, პოლიტიკური და მულტიკულტურული პერსპექტივები. ორენოვნებასთან დაკავშირებით და სხვა. სახელმძღვანელო განკუთვნილია ბილინგვური სკოლების ადმინისტრაციისა და მასწავლებლებისთვის, განათლების პოილიტიკის მკვლევართათვის, ბილინგვური განათლებით დაინტერესებული პირებისთვის.

- **ჯიმ კუმინსი, მერილ სვეინი**
ბილინგვიზმი განათლებაში, თეორიის ასპექტები, კვლევა და პრაქტიკა

გამომცემლობა Routledge, 2014 წელი; თარგმნილია CCIIR-ის მიერ (თბილისი, 2016)
247 გვერდი.
ფასი - 20 ლარი.

წიგნი განკუთვნილია ბილინგვური განათლების საკითხებით დაკავებული მკვლევრებისა და პრაქტიკოსებისთვის. კანადური გამოცდილება დიდი ხნის განმავლობაში იყოს ინტერესის ობიექტი. მიუხედავად ამისა, დღემდე არ არსებობდა პოლიტიკის შემქმნელების, ადმინისტრატორების, მკვლევრებისა თუ მასწავლებლებისთვის რაიმე ტიპის გზამკვლევი, რომელიც კარგად გააცნობდა მათ ბილინგვური განათლების კანადური გამოცდილების არსს. სახელმძღვანელოში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა ბილინგვიზმის გავლენა ბავშვის კოგნიტურ განვითარებაზე ან უმრავლესობის ენის

ათვისების გავლენა მშობლიური ენის შენარჩუნებაზე; წიგნში გაანალიზებულია, თუ რას ნიშნავს ენის ფლობა კროსლინგვისტურ კონტექსტში და როგორ უნდა მოხდეს ენის ფლობისა და ენობრივი კომპეტენციების შეფასება. სახელმძღვანელოში წარმოდგენილი არგუმენტები უმნიშვნელოვანესია ენობრივი დაგეგმვისა და განათლების პოლიტიკის განსახორციელებლად სხვადასხვა ქვეყანაში და არა მხოლოდ კანადასა და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებში. სახელმძღვანელო განკუთვნილია როგორც მკვლევრებისთვის, ასევე პოლიტიკის შემქმნელებისა და პრაქტიკოსი მასწავლებლებისთვის.

- **მურიელ სავილიე-ტროიკე**

შესავალი მეორე ენის ათვისებაში

მეორე გამოცემა, გამომცემლობა University Printing House, Cambridge, 2012. თარგმნილია CCIIR-ის მიერ (თბილისი, 2016).
233 გვერდი.
ფასი - 20 ლარი.

წიგნი დაწერილია სტუდენტებისათვის, რომლებიც ამ საკითხს პირველად ეხებიან. ეს არის გასაგები და პრაქტიკული შესავალი მეორე ენის ათვისების საკითხის შესახებ (SLA). არატექნიკური ენის გამოყენება იძლევა ახსნას, როგორ ხდება მეორე ენის ათვისება; რა უნდა იცოდეს მეორე ენის შემსწავლელმა და რატომ არის ზოგი შემსწავლელი სხვებზე წარმატებული. მურიელ სავილე-ტროიკეს პოპულარული წიგნის მეოერე გამოცემა ნაბიჯ-ნაბიჯ წარმოგვიდგენს თანამედროვე ფუნდამენტური კონცეპტების ფართო სპექტრს, როგორებიცაა: მეორე ენა ზრდასრულებისა და ბავშვებისათვის ფორმალურ და არაფორმალურ სასწავლო კონტექსტსა და მრავალფეროვან სოციო-კულტურულ გარემოში. ინტერდისციპლინარული მიდგომა სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს, განიხილონ მეორე ენის ათვისება ლინგვისტური, ფსიქოლოგიური და სოციალური პერსპექტივიდან. წიგნი ქმნის მყარ საფუძველს მეორე ენის ათვისების საკითხებში, რის გამოც ლინგვისტიკის, ფსიქოლოგიის, განათლების მეცნიერებებისა და პროფესიონალი ენის მასწავლებლებისათვის მნიშვნელოვან სახელმძღვანელოს წარმოადგენს.

- **არტურ ჰაგისი**

ტესტირება ენის მასწავლებლებისთვის



მეორე გამოცემა, გამომცემლობა Cambridge university press, 2003 წელი.
თარგმნილია CCIIR-ის მიერ (თბილისი, 2016)
236 გვერდი.
ფასი 20 ლარი.

წიგნის მიზანია, დაეხმაროს ენის მასწავლებლებს, შექმნან უკეთესი ტესტები. წიგნში შემუშავებულია რეკომენდაციები, რომლებიც, ვიმედოვნებთ, მასწავლებლებისთვის იქნება პრაქტიკული და რომლებიც შედგენილია ენის ტესტირების უახლესი თეორიების მიხედვით. წიგნში მაგალითები მოყვანილია ინგლისურის, როგორც უცხო ენის, ტესტებიდან. ვიმედოვნებთ, ინგლისური ენა ყველა მკითხველისთვის გასაგები იქნება. თუმცა, სხვა ენის მასწავლებლებიც შეძლებენ მათთვის საინტერესო მაგალითების პოვნასა და პარალელების გავლებას. განკუთვნილია მეორე ენის მასწავლებლების, განათლების მკვლევრების, აგრეთვე - ტესტირებისა და, ზოგადად, შეფასების სისტემით დაინტესებული პირებისთვის.

- **დო კოილი, ფილიპ ჰუდი, დევიდ მარში.**

CLIL - ენისა და საგნობრივი შინაარსის ინტეგრირებული სწავლება



კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010 წელი.
თარგმნილია CCIIR-ის მიერ (თბილისი, 2016).
182 გვერდი.
ფასი - 20 ლარი.

წიგნი განკუთვნილია მკითხველთათვის, რომელთაც არა მხოლოდ საგნობრივი შინაარსისა და ენის ინტეგრირებული სწავლების (CLIL) გაგების გაფართოება უნდათ, არამედ სურთ პედაგოგიკურ საკითხებთან შეჭიდება, მათ შორის - საწყისი სტრატეგიების, ტექნიკებისა და მიდგომების შემუშავება საკლასო ოთახებისა და, საზოგადოდ, სასწავლო გარემოსათვის. საგნობრივი და ენის მასწავლებლები ყველა სექტორსა და ასაკის ჯგუფში, მასწავლებლების ტრენერები, ადმინისტრატორები და მკვლევრები - ყველა იპოვის ინფორმაციას CLIL-ის შესახებ, რომელიც არა მხოლოდ ეხმარება ინფორმირებულობის დონის გაზრდას და პრაქტიკაზე დაფუძნებას, არამედ საშუალებას იძლევა, მივიღოთ სპეციფიკური ცოდნა და გავეცნოთ სპეციფიკურ ხედვას.

- **პეტერ მეჰისტო, დევიდ მარში, მარია ხესუს ფრიგოლსი**

რა არის CLIL?

გამომცემლობა Macmillan Publishers, 2008 წელი. თარგმნილია CCIIR-ის მიერ (თბილისი, 2016).
265 გვერდი
ფასი - 25 ლარი.



წიგნში ახსნილია ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების (content and language integrated learning - CLIL) არსი და გამოკვლეულია იმ პრობლემათა ნაწილი, რომლებიც CLIL-ისთვისაა დამახასიათებელი. CLIL არის ორმაგად ორიენტირებული საგანმანათლებლო მიდგომა, რომელშიც მეორე ენა გამოიყენება როგორც საგნობრივი შინაარსის, ისე ენის სწავლებისათვის. სახელმძღვანელო იმ მკითხველისათვისაა განკუთვნილი, რომელსაც სურს პრაქტიკულად გააზრება, თუ როგორაა შესაძლებელი საგნობრივი შინაარსისა და მეორე ენის კომბინირება ერთ საგანმანათლებლო გამოცდილებად. წიგნი არის მათთვის, ვისაც სურს, უკეთ გაიგოს ენისა და საგნობრივი შინაარსის ინტეგრირებული სწავლების (CLIL) პრაქტიკა; ისინი, შესაძლოა, მუშაობდნენ დაწყებითი სკოლის მცირეწლოვან ბავშვებთან, საშუალო სკოლისა თუ პროფესიული სასწავლებლის უფრო მოზრდილ მოსწავლეებთან... მკითხველი, ასევე, შესაძლოა იყოს მშობელი, ადმინისტრატორი ან მკვლევარი, რომელსაც განათლების საკითხები აინტერესებს.